ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე
გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.08.2016
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 011/16

შეკითხვა:

ქართული საადვოკატო ბიურო და უცხოური საადვოკატო ბიურო აფორმებენ სალიცენზიო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, ქართული ბიურო საერთაშორისო ბრენდით განახორციელებს საადვოკატო მომსახურებას. ამისთვის, ქართული ბიურო შემოსავლის გარკვეულ პროცენტს გადაუხის უცხოურ საადვოკატო ბიუროს. ეს პროცენტი შეიძლება განსახვავებული იყოს: უფრო მაღალი იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის გენერირება მოხდა უცხოური საადვოკატო ბიუროს კლიენტისგან.

ქართული საადვოკატო ბიუროს მიერ სალიცენზიო ხელშეკრულების დადება ერთგვაროვანი სალიცენზიო პროცენტით ხომ არ ეწინააღმდეგება ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილს?

თუ პროცენტი დიფერენცირებულია, როგორც ზემოთ არის მითითებული, ქართული ბიუროს მიერ სალიცენზიო ხელშეკრულება ხომ არ ეწინააღმდეგება ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილს?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის. ამ აკრძალვის დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი საკუთარი ანაზღაურების ნაწილს გადასცემს ამ ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასულ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდრეს“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილი არეგულირებს ურთიერთობას კონკრეტულ ადვოკატსა და პირს შორის, რა შემთხვევაშიც, შესაძლოა, პირი იყოს, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული, რომელსაც ადვოკატმა არ უნდა გადაუხადოს რაიმე სახის გადასახადი პირადად მისი რეკომენდირებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, ორივე მხარეს წარმოადგენს საადვოკატო ბიურო და მათ შორის შეთანხმების მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია, უცხოური საადვოკატო ბიურო ქართული საადვოკატო ბიუროსათვის რეკომენდაციის გამცემ პირად ჩაითვალოს, თუმცა, აღნიშნული არ გულისხმობს ქართულ საადვოკატო ბიუროში მომუშავე კონკრეტული ადვოკატის რეკომენდირებას და მასთან ჰონორარის განაწილებას რეკომენდირების გადასახადის სახით. მოცემულ შემთხვევაში, არა კონკრეტული ადვოკატი, არამედ, საადვოკატო ბიურო მოქმედებს საერთაშორისო ბრენდის სახელით სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე, რაც არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევას.

დასკვნა:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილის დარღვევა სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ადვოკატი გადაუხდის პირს გადასახადს, რომელმაც პირადად გაუწია რეკომენდაცია. ჰონორარის განაწილება რეკომენდირების გადასახადის სახით, არ ჩაითვლება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევად იმ შემთხვევაში, თუ რეკომენდირების გაწევა ეხება არა კონკრეტულ ადვოკატს, არამედ საადვოკატო ბიუროს.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/